ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01200431167**
თარიღი: **12/02/2020**
პინი: **7535**

ადრესატი: შპს ფენიქსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404852931
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონ
ნუცუბიძის, ქუჩა N 193, ბინა N 6

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01191993-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა N1-ში (საკ. კოდი N01.11.12.018.179) 2017 წლის 7 აგვისტოს N3455094 (AR1527238) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:
მონოლითური კედლების ნაწილი არ არის აღნიშნული პროექტში. ნაწილობირვ გაზრდილია მონოლითური კედლების სისქე. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების ფორმა და გაბარიტი. შეცვლილია ღობების ნახატი.
+48.10 ნიშნულზე შეცვლილია პარაპეტის ფორმა. შემცირებულია ლიფტის სამანქანოს ფორმა. დამატებულია ფრამუგები. კარებს მონაცვლებული აქვს ადგილი.
,,1-15“ ფასადზე სადარბაზოებთან გაზრდილია ფილის გაბარიტი.
,,15-1“ ფასადზე ,,13-12“ მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯრები. ,,7-1“ მონაკვეთში +3.30 ნიშნულზე შემცირებულია კონსოლის გაბარიტი 0.2მ-ით.
დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე